სახალხო გაგეთი

სურათებიანი დამატება გაზეთის № 971

დამატების № 171

კვირა, 18 აგვისტო 1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომის ყვავილი

აგერ, ჩემს ბაღში შემოდგომის ყვავილი ჰხაროობს,
მოკვედ და ჰნახე ეს საუნჯე უკანასკნელი;
ჰეი, მიჯნურო, იგი მხოლოდ ერთხელ დაგატკბობს,
შემდეგ დასჭკნება, ჩამოსცვივა ნაზი ფურცელი.
აჰა, ჩემს სულში შემოდგომის გრძნობა ენთება
და ჩემი ჰანგიც მისი არის გამოძახილი;
ვიდრემდის დრო გაქვს, მოვედ, დასტკბი, მიიძღვენ შვება,
შემდეგ დასჭკნება და მოიდნობს სევდის სახმილი.

სანდრო შანშიაშვილი.

კიდევა გნახე

კიდევა გნახე, მაგრამ თავდახრით,
გარემოცული ოხვრით და სევდით;
სხვა დროს ნახვითა გახარებულნი,
ეხლა ერთმანეთს მწუხარედ შევხვდით...

—

როს გშორდებოდი, თავი მომაყრდნე
და ორივენი ვოხრავდით მწარედ;
შენს თვალში სევდის ღრუბელი სწვიმდა
და მდუმარებდი პირმგლოვარედ.
ყრმავ, კარგა მახსოვს, ეგ შენი თვალი
ვითარ ელავდა და ცრემლსა ჰღვრიდა,
მე კი უბედურს, გზა იდუმალი
მადარდებდა და შიშის ზარს მგვრიდა.
მაგრამ დილის ცამ დათრთვილა მიწა,
თეთრი ნისლები გაეკრა მთა-ბარს
და მივხვდი, შემდეგ მიღალატებდი,
გადახვიდოდი ფიცისა საზღვარს.
აღსრულდა კიდეც წინასწართქმული,
ჩამოწვა სევდა და სივალალე:
დღეს ყველამ იცის, რომ მის შემდგომად
გული სრულიად გარდაიცვალე...
მე რომ წარმტაცე გულისა შვება,
ვისღა აამე ახალის ფიცით?
ერთს რომ გაუხმე ლხენის წალკოტი,
ვილას უხარე ტრფობითა მტკიცით?
ერთმა რომ თავში ქვა წაიშინა,
ვილამ აილო ნებისა ჭიქა?
სადაც მე ვსთვლიდი უკვდავად თავსა,
ეხლა ვინ მეფობს, ლამაზო, იქა?! .
მაგრამ რაც გსურდეს, შენ იგი ჰქენი,
სხვა და სხვა სახე მიეცი ტრფობას,
ცვალებადია საწუთრო ჩვენი,
შენც მიჰყე მისსა ცვალებად გრძნობას!..

—

კიდევა გნახე, და კიდევ გნახავ,
მაგრამ აღსავსე ოხვრით და სევდით...
და საუკუნოდ გვეცოდინება,
რომ ფიცით მხოლოდ ფიცსავე ვხევდით!

ი. მჭედლიშვილი.

სინათლე*)

ზღაპარი ფეერია

3 მოქმედ. და 7 სურათად.

მოქმედება მეორე.

სურათი I

მეორე დარბაზი სასახლეში. **მეფე, სპასალარი და ვეზირი.**

მეფე. სადაცაა ჩამოჰკრავენ თერთმეტს საათს და დარჩება მარტო თერტმეტი წუთი (ისმის ზარის ხმა, თერთმეტჯერ რეკავენ.) შესრულდა... კიდევ თერტმეტი წუთი და... მარტო თერთმეტი წუთი... მითხარით რა ვქნა?.. რა წყალში ჩავვარდე?.. რომელი გა იმეტო... ვაიმე შვილებო!

სპასალარი. ნუ მიეცემი, ჩვენო დიდებავ, სასოწარკვეთილება. გვიბრძანე, და მთელი ერი ამხედრდება, დარაჯათ დაუდგება მეფის შვილებს... შევებრძოლებით თვით ჯოჯოხეთს..

მეფე. ჩემი პირობა, ჩემი სიტყვა?...

ვეზირი. პირობა, სიტყვა? ვისთან? ჯოჯოხეთის მოციქულთან... რა პირობა შეიძლება?..

სპასალარი. მე კი მგონია დაგვცინა და მოგვატყუა იმ ქვესკნელის შვილმა... იქნებ არც კი მოვიდეს (გაისმის ჭექა ქუხილი. გამოცვივდებიან **დედოფალი,** მოჰყავს **ავთანდილი** და **გორჯასპი,** თან მხლებელი ქალები).

დედოფალი (მეფე, სპასალარი და ვეზირიც წამოხტნენ). მიშველეთ, ვიღუპები... დადგა დღე აღსასრულისა.. თქვენი პირიმეთ, მიშველეთ!.. (მეორედ ჭექა-ქუხილი, წითელი სინათლე და იატაკიდან ამოძვრება **დავრიში.** ყველანი შეკრთებიან და გაშეშდებიან).

დავრიში. სალამი დიდებულ მეფე ჯიმშერს... აბა, მეფევ, დანიშნულმა ვადამ განვლო და პირობაზედ როგორა ხარ? მე ჩემი შევასრულე და შენ რას იტყვი?

დედოფ. (მიუახლოვდება დავრიშს) არ ვიცი ვინ ხარ, მაგრამ შებრალება გეცოდინება. (დაიჩოქებს) მუხლ მცდრეკილი გევედრება უბედური დედა, აიღე ხელი პირობაზედ... თუ მაინც და მაინც მსხვერპლი გინდა... აჰა, მე წამიყვანე...

დავრ. მე მოვედი მეფე ჯიმშერთან (მეფე, სპასალარი და ვეზირი მივლენ დედოფალთან, ააყენებენ და ამშვიდებენ) მე მინდა დავრწმუნდე მართლაც ისეთი მტკიცე და მაგარია მეფე ჯიმშერის სიტყვა, როგორც ჰგონია მთელს ქვეყანას?.. მეფევ! პირობაზედ რას იტყვი? (უჩვენებს ავთანდილზე და გორჯასპზე) ამათში ერთი ჩემია...

მეფე. ჯოჯოხეთიდან ხარ მოსული თუ საიდან არ ვიცი... გემუდარები, გევედრები... აჰა, ნახევარი სამეფო... ცოტაა? მთელი სამეფო წაიღე... მხოლოდ დამიტოვე ორივე შვილი...

დავრიში. ჰა, ჰა, ჰა! რად მინდა შენი სამეფო?.. ჩემი სიტყვა ხუთი შენისთანა სამეფოდ მიღირს. ჩემი სიტყვა მე აღვასრულე და ახლა შენი ჯერია... თუ უღალატებ შენს სიტყვას, შენს პირობას, მაშინ... მაშინ მეცოდინება ვისთან მქონია საქმე... მე ჩემსას მაინც გავიტან, მაინც აღვასრულებ და მივიღებ კუთვნილს: შენ კი შვილსაც დაჰკარგავ და სიტყვასაც გასტეხ...

სპასალარი. კმარა ამდენი დაცინვა და დამცირება... ვინ არის ეს, ვინც ამისთანებს უბედავს მეფეს... ბრძანე, ხელმწიფევ, და ამ წუთში თავს გავაგდებინებ! (ხმალზე ხელს იკრავს).

დავრ. ჰმ! ჰა, ჰა, ჰა... მუქარა. ძალა?.. აბა, მაშ თუ ვინმე თქვენგანი ხმალს ქარქაშს დააშორებს, მე უარს ვამბობ ჩემს მოთხოვნილებაზედ. (ყველანი ხმალს მიატანენ ხელს, ცდილობენ ამოიღონ ქარქაშიდან, მაგრამ ოდნავაც ვერ დაუძრავთ) ჰა, ჰა, ჰა... აბა, გმირებო, სად არის თქვენი ძალა, მუქარა... მეფევ! შენი სიტყვა?..

მეფე. კარგი... ულმობელო მტარვალო!.. რომელს?!. წაიყვან...

*) იხ. სურათებიანი დამატება № 170.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასტერის ინსტიტუტის იუბილეი.

(ეს ინსტიტუტი დაარსდა 1888 წელს, 25 წელიწადი შესრულდა დღიდან მისი დაარსებისა)



ლუი პასტერი.
(გამოჩენილი ნატურალისტი, დამაარსებელი ინსტიტუტისა)

ლუი პასტერის საფლავი ინსტიტუტში.



პროფ. რუ.
(პასტერის ინსტიტუტის დირექტორი)

პროფ. მეჩნიკოვი.
(გამოჩენილი მეცნიერი, რომელიც ამ ჟამად პასტერის ინტიტუტში მუშაობს)

დავრ. ჰო, აი მაგაზედ ვილაპარაკოთ (ამოიღებს ხელცახოცს). აი, ამ ხელცახოცს ოთხი ბოლო აქვს, ერთზე კვანძია... გამოსწიონ ორივე ყმაწვილებმა თითო ბოლო და, ვისაც კვანძი ერგება იგი ჩემია... იქნება არც ერთს არ ერგოს, მაშინ მე წაგებული ვარ და თქვენ მოგებული... (მიიტანს ხელცახოცს ბავშვებთან) აბა, ყმაწვილებო გამოსწიეთ თქვენს ბედზედ.

გორჯასპი და ავთანდილი (გამოსწევენ და ავთანდილს კვანძი ერგება. დავრიში მიატანს ხელს ავთანდილს).

დავრ. ეს არის ჩემი!... (ავთანდილი გაუსხლტება, ჩაებღაუჭება დედოფალს).

დედოფ. არ დაგანებენ, არა... (მისცვივდებიან მეფე, სპასალარი, ვეზირი იცავენ ავთანდილს. დავრიში უკან გადახტება).

დავრ. არც ეხლა მანებებთ?... მა'შ, კარგი! (გაიქნევს ხელს და უცბად დაბნელდება. ქარი დაუქროლებს. ასტყდება ჩოჩქოლი, მიხლა-მოხლა. ისმის ხმები: „გვიშველეთ, ვიღუპებით“, დედოფლის კივილი: „ვაიმე შვილებო“!.. ცოტა ხნის შემდეგ ისევ განათდა. ხალხი დაფანტულია, ზოგი მუხლ ჩაკეცილია, ზოგი კედელს მიჰყუდებია. დედოფალი უგრძნობიიატაკზე გაშოთილა. დავრიში და ავთანდილი აღარ არიან. განათების შემდეგ ცოტა ხანს გამოურკვევლობა ემჩნევათ).

მეფე. დედოფალს მიხედეთ, დედოფალს!. (მისცვივდებიან დედოფალს, წამოაყენებენ, გამოაბრუნებენ)...

დედოფ. ჩემი შვილები?.. შვილები?! (მიჰგვრიან გორჯასპს) ეს ერთი... მეორე? ვაიმე დავიღუპე... მიშვილეთ.

მეფე. ვაიმე შვილო! (ყველანი სტირიან).

ფ ა რ დ ა.

სურათი II.

დაბურული ტყე. უცნაურად დაკლაკნილი ხეები. ქოხი. ქოხის წინ ორი ბოძი, ერთზედ კატა, მეორეზედ ყვავი. მიწაზე, ქოხის წინ ცეცხლი, ცეცხლზე ზედადგარი, ზედადგარზე ქვაბი. **ჯადოსანი** რაღაცას ხარშავს. რამდენიმე ქაჯები და ეშმაკები დახტიან, უცნაურად ცეკვავენ. ისმის გულშემზარავი ხმები; ხრუტუხი, კნავილი, ხარხარი ღმუილი და სხვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი საქართველო



უმთავრესი ტაძარი აგარის მონასტრისა.



ნანგრევები აგარის მონასტრისა, 8 ხუცური წარწერით.



დაბის ტაძარი

აქა-იქ ხანდისხან ალი ამოვარდება. ქოხის ახლოს რაღაც საზიზღარი ქმნილებანი დაბობღავენ, ერთმანეთს, ეცილებიან ჩხუბობენ. **პირველი, მეორე** და **მესამე ეშმაკი.**

პირვ. ეშმაკი. ბაბუა რაღაც ფაცაფუცშია... ალბად გემრიელს ლუკმას მოელის.

მეორე ეშმ. გემრიელს? მე შენ გითხრა შენ მოგარმევენ.

მესამე ეშმ. როდემდის უნდა იყოს ასე? მუშაობით სული ვეძვრება, შიმშილით კუჭი გვიხმება.

პირვ. ეშმ. დღე და ღამ დავწანწალებთ, მოსვენება არა გვაქვს და ჯილდოთ კი გამოღრღნილ ძვალს თუ გადმოგვიგდებენ.

მესამე ეშმ. იმღამინდელისა არ იყოს. სოფელში გამგზავნა, ვიღაც მევახშე თურმე კვდებოდა, მაგისი დიდი მეგობარი. ამ მოვახშის სული უნდა მომეტანა. ის იყო სოფელს მიუახლოვდი, ვიღაც ბერს შევეჯახე. პირჯვარი გადაიწერა და გადმომაფურთხა. ისე დავიკლაკნე ისე დავიკრუნჩხე,—მეგონა იქვე გავთავდებოდი. როგორც იყო სული მოვიბრუნე და შევედი სოფელში. ახლა აქ ვიღაც ქალი შემომეფეთა: დაჭგვიანებოდა, მორბოდა და ხმა მაღლა ლოცვებს გაჭიოდა. ამირია ამ ლოცვებმა გზა და კვალი, ველარც ქუჩა გავარჩიე, ველარც მოედანი, მთელი ღამე ვიხეტიალე და გათენებისას ძლივს მივაგენი მოვახშის სახლს,—სულთმობრძავი იყო. შევედი, მივესალმე. „რისთვის მოთრეულხარ“-ო—„შენი სულისათვის, შენი სულის ჭირიმე“-მეთქი. „სარგებელს რას მაძლევ“-ო? აქაც კი სარგებელი აგონდებოდა. მაგრამ პასუხი ველარ მოვასწარი, ერთი დაიხრიტინა და სულიც ამოსძვრა... წავავლე ხელი და მოურბეინე ცხელ-ცხელი სული ჩვენს ბატონ-პატრონს... გაუხარდა, რა გაუხარდა... „საჩუქრის ღირსი ხარო, წადი, ამ სულის პატრონის ლეში შენთვის მიჩუქებიაო“.

მეორე ეშმ. კარგი და გემრიელი ლუკმა უფეშქაშნია?..

მესამე ეშმ. რას ამბობ, ძმაო! ჯერ სული ისე ჰყარდა, მომქონდა სულ ცხვირს მაცემინებდა და ახლა იმის ლეში რა იქნებოდა... არც კი მივკარებივარ...

მეორე ეშმ. მეც ეს რამდენი ხანია მეფე ჯიმშერის ოჯახს დარაჯად უდგევარ, მთელი ღამეები დავხეტიალებ... ახლა ძლივს გამანთავისუფლა... დღეს მგონია უნდა მოიყვანოს მეფის შვილი.

პირვ. ეშმ. ვერ ხედავ ბაბუას, რა ყოფაშია? მაგას მოელის.

მეორე ეშმ. ჰე, რა გემრიელი იქნება მერე...

მესამე ეშმ. მე და შენ კი არა გაგვხვდება რა...

პირვ. ეშმ. ლაჩრები და უხეიროები ვართ, თორემ...

მეორე ეშმ. თორემ?.. მე ვიცი ყურებზე ხახვს დააკრიდი... ერთი დაგიბღვიროს, და მგონია სოროც კი ვერ იპოვნო დასამალავად.

მესამე ეშმ. რას გააწყობ ძმიავ?.. ძალა ალამართსა ჰხნავსო, ნათქვამია...

პირვ. ეშმ. ძალა, ძალა... განაჩვენ კი ძალა არა გვაქვს. აბა პირი შევკრათ და ერთმანეთს მხარი დავუჭიროთ... შენ გაფიცვას ეხუმრები თუ?.,, აბა გავიფიცნეთ, ფეხი არსად გავსდგათ, ხელი არას მოვკიდოთ... ვნახოთ, გავიტანთ ჩვენსას თუ არა... არ მინდა და არ ვიმუშავებ... თუ მაჭმევ, მასმევ?.. კეთილი! ვიმუშავებ... თუ არა და... ხელსაც არ გავძრავ...

მეორე ეშმ. მართლა, კაცო... გაფიცვა კარგი რამ არი.

მესამე ეშმ. ჰოდა, მაშ, თუ ამაღამ კარგად არ გაგვიმასპინძლდებიან, ხვალიდან გავიფიცნეთ...

მეორე და მესამე ეშმ. გავიფიცნეთ, გავიფიცნეთ! (ხტუნაობით და ცეკვით ტყეში მირბიან. პირველი ეშმაკი ჯადოსანს მიუახლოვდება).

პირველ ეშმ. ბები, ა—ა ბები!.. შიმშილით კუჭი მიხმება... ერთი ლუკმა გადმომიგდე...

ჯადოს. ემანდედგან წაშავდი, თორემ ასეთ მათრახებს მოგართმევ, რომ ზურგი სულ აგილილაო...

პირვ. ეშმ. მაშ, კაი ამბავს არ გეტყვი. ისეთი რამ ვიცი რომ... რომ...

ჯადოს. წამორბოშე რაც ენაზედ გადგია და ლუკმა მერმე ითხოვე...

პირვ. ეშმ. ბები, იცი... ხა, ხა, ხა... ჩვენები გაფიცვას აპირებენ... შიმშვილით ვიხოცებითო... მუშაობით წელს გვწყვეტენო და ლუკმას კი არ გვაძლევენო... ხვალიდან გაფიცვას აპირებენ.

ჯადოს. რაო, რაო?.. დიდიხანია რკინის მათრახები არ უგემიათ... ეშმფურებს კი ხელათ დავამზადებ... აჰა, შთანთქე, შე გაუმაძღარო! (გადმოუგდებს ძვალს) ემანდ ჯოჯოხეთის მადლი არ გაგიწყრეს და შენც იმათ არ აჰყვე, თორემ ხომ იცი... ერთი მოვიდეს ჩემი შვილი... მე ვაჩვენებ მაგათ გაფიცვას... (შემორბიან მეორე და მესამე ეშმაკი).

მეორე და მესამე ეშმ. მოდის, მოდის... მოჰყავს, მოჰყავს!..

ჯალდოს. ვინ მოდის? ვინ მოჰყავს?.. (გამოჩნდება **დავრიში**, მხრებზე **ავთანდილი** უზის. მოიყვანს და **ჯალოსანის** წინ ჩამოსვამს ავთანდილს) შვილო, ძლივს არ დაბრუნდი... მეკი ჩემი დამემართა, გული გადმომიბრუნდა... ვინ იცის, რა არ ვიფიქრე... (მივა და ავთანდილს ხორცს უშინჯავს) ჰმ!... მსუქანი კია... რბილი ხორცი ექნება... (ავთანდილი ხელსა ჰკრავს).

ავთანდ. გაშეცალე, ბებრუცანავ! (დავრიშს) აქ სად მომიყვანე?.. გამიშვი, თორემ მამაჩემი თავის **ჯარით** მოვა და სულ ლუკმა-ლუკმა აგკუწავთ...

პირვ. ეშმ. ჰე—ე, რა ფიცხი რამა ყოფილა... მალე მოგარ**ჯ**ულეთ და დაგამშვიდებთ, (ყელზე თითს ისვამს) **ჯ**ერ ხიჭ, ხიჭ... მერმე ცხელ წყალში ჰყუპ,—ჰყუპ... მერმე ტაფაში!—ში-ში... ისე დაიბროწები, ბელზებულის მადლმა, ლუკმა ას ოქროთ ეღირები...

დავრიში. დაანებეთ ბალღს თავი... სულ ჭამაზედ არ გიჭირავთ თვალი... რით ვერ გაძეღით?

ჯალდოს. უი, ჩემო ძვირფასო, მაგათ გაუმაძღარ კუჭს რა გააძღობს... ახლა რა განუძრახიათ... შიმშილით გვხოცავენო, მუშაობით წელსა გვწყვეტენო... ქა, გაფიცვა დაუპირებიათ...

დავრიში. რაო, გაფიცვაო?.. თქვენც ადამიანებში გაერიეთ?.. მომეცი, დედი, მათრახი... (ჯალოსანი მიაწვდის).

დავრიში. (მეორე ეშმაკს) შენ გინდა გაფიცვა?..

მეორე ეშმ. არა, ბატონო... ვფიცავ **ჯოჯოხეთს**... გიჟი ხომ არა ვარ?.. რა მაკლია... ან გაფიცვით რას უნდა გავხდე...

დავრიში. (მესამე ეშმაკს) მაშ, შენ გინდა გაფიცვა?

მესამე ეშმ. მე არა, ბატონო, მე არა. (უჩვენებს პირვ! ეშმაკზე) აი ეს გვაბუნტებს... ამან გვირჩია, მაგრამ ჩვენ არ დავსთანხმდით...

დავრიში. (მივარდება პირვ. ეშმ.) ჰა—ა, მაშ შენ?.. (დაჰკრავს მათრახს).

პირვ. ეშმ. ვაიმე... მე არა!.. ბები, მე არ შეგატყობინე?. მე არ გითხარი გაფიცვას აპირებენ მეთქი?

ჯალდოს. მართალია მაგან შემატყობინა... მაგრამ ერთი მეორეზედ უკეთესია... სამივეს რომ კაი-კაი მიარტყა, არ აწყენთ...

დავრიში. ბედი თქვენი, რომ არა მცალიან თქვენთვის... მოიტა ჯაჭვი, დედი! (ჯალოსანი ჯაჭვს მიაწვდის. მეორე და მესამე ეშმაკს) წაიყვათ ეს ბალღი და ემანდ ქოხის გვერდზედ დააბით... ვაი თქვენს ტყავს, თუ წაგივიდათ... (პირვ. ეშმაკს) შენ წადი და შარა გზაზედ უდარაჯე. თუ გამოჩნდა ვინმე მაშინადვე შემატყობინე... (პირვ. ეშმაკი მიდის. მეორე და მესამე ეშმ. ავთანდილს წაავლებენ ხელს, ავთანდილი არა ჰნებდება. ძალით მიჰყავთ).

ავთანდ (ყვირის). გამიშვით, გამიშვით!.. მოიცა სპასალარი მოვა და სულ შუბით დაგხვრეტავთ.

მეორე ეშმ. წამოდი, წამოდი... მართლა რა რბილი ხორცი ჰქონია.—(წაიყვანენ და ჯაჭვით ხეზე მიაბამენ).

ჯალოსანი (დავრიშს). რაღას აგვიანებ... გამოსჭერი ყელი... წყალი მზათა მაქვს... ვიცი, შვილო, მშიერი იქნები...

დავრ. არა, დედი, ეგ ბალღი სხვა საქმისთვის მჭირია... გამიჭირეს საქმე ფერიებმა... ხელს ძრიელ მიშლიან... და თუ ასე თუ ისე ფერიები არ მოვსპე, ცუდათ წავა ჩვენი საქმეები. მე იმათ სამფლობელოში ვერ შემესვლება... დაჭერით იმათ ვერ დავიჭერ, თუ ოქროს შანდალი, რომელიც ცხრა მთას იქით გამოქვაბულშია შენახული, ხელში არ ჩავიგდე... მე იქ ვერ მიუდგები და ეგ ბალღი კი მიაღწევს და გამოიტანს შანდალს. მაგას ფერიები სწყალობენ და ყველგან შეუშვებენ. ერთი სიტყვით მაგ ბალღმა ის შანდალი აქ უნდა მომიტანოს და მაშინ ფერიები ჩემს ხელში იქნებიან... აბა, დედი, გექნება რამ ლუკმა, პატარას დავნაყრდები და მერმე მაგ ბალღს გავამგზავრებ.

ჯალდოს. შენი ნებაა, ჩემო კარგო.. მე კი მეგონა შესანიშნავ ვახშამს მოუმზადებ ჩემს შვილს მეთქი... მიბრძანდი შიგნით... ცოტა რამ შეგინახე და მიირთვი (შედიან შიგნით)...

მეორე ეშმ. მაშ, ამაღამაც მშივრები უნდა ვიყოთ! ჰე—ე, რა სუკები დავკარგეთ?.. ბიჭო, მოდი გაუშვათ ე ბალღი... მერე გამოუდგეთ, შორს ვერსად წაგვივა, დავიჭიროთ და ერთხელ მაინც გავძღებით კარგად...

მესამე ეშმ. მერე, რა დღეს დაგვაყრიან... მგონია ცხელი შამფურებით...

მეორე ეშმ. სულელო, ვეტყვით ფერიამ გაანთავისუფლა -თქო... და ფერიასთან ჩვენ რას გავხდებით... **ჯ**ერ თავადაც ვერ მოუვლია ფერიებისათვის, ეშინიან და ჩვენ რაღა შეგვიძლიან.

მესამ. ეშ. ეგ კი მართალია... მაგრამ მეშინიან...

მეორე ეშ. მართალია და წადი და ახსენი... მე მოგეფარები და გიდარაჯებ... რისა გეშინიან?.. ხელად ახსნი, მერმე ყვირილი მოვრთოთ და დავედევნოთ ბალღს.

მესამე ეშმ. (მიდის ავთანდილთან უნდა ახსნას).

მეორე ეშმ. (ყვირის) არიქა, მიშველეთ... ბალღი აუშვა!.. მიშველეთ! (ქოხიდან გამოვარდებიან დავრიში მათრახით და ჯალოსანი გახურებული შამფურით. დავრიში მივარდება **მესამე ეშმ.** და სცემს.)

დავრიში. ჰაი, შე ძაღლო, ეგრე სდარაჯობ?..

მესამე ეშმ. მე არა, შენი ჭირიმე, მაგან გამაბრიყვა, წადი **ჯ**აჭვი გაამაგრეო და თითონ კი ყვირილი მორთო...

დავრიში (მივარდება მეორე |ეშმაკს. სცემს) ესეც შენ...

მეორე ეშმ. შენი ჭირიმე, ბატონო, ნუ მომკლამ... ჩემი ბრალი არ არის... მაგას ბალღი უნდა გაეშვა და მე ყვირილი ავტეხე...

დავრიში. მერე გაგისწორდებით... ახლა თქვენთვის არა მცალიან... ახსენით ჯაჭვი (ავთანდილს ანთავისუფლებენ) აბა ბალღო. შემეცოდე და შენი მშობლების ხათრიცა მაქვს. წადი აგერ იმ გზას დაადექი და გაჰყევი... თუ შეუხვიე სადმე, იცოდე დაიღუპები... ცხრა მთას იქით გადახვალ, ერთი გამოქვაბული დაგხვდება გამოქვაბულის ბოლოში ოქროს მაგიდა სდგას, მაგიდაზე ოქროს შანდალი, ის შანდალი აქ მომიტანე და მაშინადვე მშობლებთან დაგაბრუნებ... თუ გზაში მოგშივდა, აჰა, აი ეს სალამური... დაუკარი და უმალ საჭმელი მოგერთმევა... მხოლოდ უკან ნუ მოიხედავ და არც არსად შეუხვიო... გახსოვდეს: მოიტან შანდალს,—დედმამასთან დაგაბრუნებ... გასწი ეხლა, დაადექი გზას... (ავთანდილი მიდის).

ჯალდოსანი. ახლა, ემაგრე რომ უშვებ... წავა კი იქ, სადაც საჭიროა... ვინ იცის აუხვიოს გზას, ან შეხვდეს ვინმე...

დავრიში. ფიქრი ნუ გაქვს... ორი დღეა მშიერია... ცოტას გასცილდება თუ არა მაშინადვე სალამურს მიატანს ხელს: იგემებს სალამურით მირთმეულს საჭმელს და უმალ დაავიწყდება ყოველი ფერი, რაც ახსოვს; სამშობლო, მშობლები და ყოველი, რაც კი აქნობამდისინ მაგის სიცოცხლეში მომხდარა... გახდება ჩემი მონა მორჩილი და თაყვანის-მცემელი... გადაგვარდება სრულიად... აღასრულებს ყოველისფერს ჩემს ნაბრძანებს... მომიტანს შანდალს და ჩემი ნება არ იქნება, დაუბრუნო ბალღი მშობლებს თუ არა?..

ჯალდოს. შენ, ჩემო სიცოცხლევ, ყოველისფერი კარგად იცი...

დავრიში. უკვე გვიანღაა. სადაცაა გათენდება... დაუაროთ ჩვენი ღამის ცეკვა და დავიძინოთ... (საზარელი კაკოფონია და ხმაურობა. ჯალოსანი და დავრიში უცნაურად ცეკვავენ. ეშმაკები, ქვემძრომები და საშინელი ქმნილებანი ამათ აჰყვებიან. გაათავეს ცეკვა.)

დავრიში. ღამე სიბოროტისა!

ჯალოსანი. ძილი ჯოჯოხეთისა.

პირვ. ეშმ. სვენება ქვესკნელისა.

მეორ. ეშმ. სიზმარი ქაჯებისა!

მესამე ეშმ. კურთხევა სატანისა!

ყველანი. ბელზებულ, ბელზებულ!

(ქარიშხალი და საზარელი ხმაურობა).

ფ ა რ დ ა.

(დასასრული იქნება).

ი. გედევანიშვილი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".

რედაქტორ-გამომცემელი **ა. ჭუმბაძე.**